

ლია იმ მიზნით, რომ მღვდელ მოქმედებანი მთიელთა ენებზე აღსრულებულიყვნენ. ამ მიზნითვე საზოგადოებამ გაზარდა თბილისის სასულიერო სემინარიაში თავის ხარჯით მსგები, აბჯახები და სხვ. სამწუხაროდ, როგორც მაგალითი გვიჩვენებს, შრომას და სურვილს საზოგადოებისას აქამომდე წაყოფიარ მოუტანია.

მერ გაგვიგია, თუ ზოგიერთი ოსი—
მღვდლები, რომელთაგანნი ბევრი სემინარია-
ში ყოფილან, კურსიც შეუსრულებიათ და ოსური
ენაც უსწავლიათ, მაგრამ მღვდელ-მოქმედებას-კი
ძართულ ენაზე ასრულებენ.

ლ თუ რამდენად სამწუხარო შედეგი აქვს ამ გვარ
 მოქმედებას ზოგიერთ **მს.-მღვდლებს**ას, ამის და-
 სამტკიცებლად მომყავს პა. **ეკლად** ის ჭაკტი, რომ
 ოსები სრულიად არ დაიარებიან ეკკლესიაში და
 მგორედ შემდეგი ჭაკტი: ამ ორის წლის წინედ მე
 დავესწარ სოფ. **მ.** მიცვალებულის დამარხებაზე.
 პანაშვიდს აღასრულებდნენ ჯავის ბლადლოჩინი **მ. ზ.**
 ჯიოშვილი და ბერის მღვდელი **მ. ბრ.** მოქოშვი-
 ლი **მსურ** ენაზე. ვერ წარმოიდგენთ, თუ რა შთაბეჭ-
 დილებას ახდენდა პანაშვიდი **მსურ** ენაზე ოსებზე,
 უმეტესად ქალებზე. როდესაც **მ. მოქოშვილი** ჰკით-
 ხულობდა: «მოვედით უკანასკნელი ამბოჯი ვსცეთ...»
 ძალებმა სრულიად შესწყვიტეს თვისი ჩვეულებრივი
 ტირილი, რომელსაც უიმისოდ ვერაფერი შეიკავებს.

ძარგი იქნებოდა ამ შემთხვევისათვის მიექციათ ყურადღება ზოგიერთ ოს-მღვდლებს, გაებერთყნათ ოსურ ენაზე გადათარგმნილ საღმთო წიგნებიდან მტკერი და ოსთათვის ელაღაღნათ მათ სამშობლო ენაზე.

გიორგი ღიახვედი.

ხუცური, სამეკლესიო ენის სწავლებაზედ.

(მცირე შენიშვნა).

ყველამ იცის, თუ როგორ ასწავლიდნენ ძველად ხუტურ, საეკლესიო ენას. შემდეგ ხუტური ასოებისა და მარცვლების თუთიუშურად შესწავლისა, მიაჩნებდნენ ხოლმე ბავშს პირ-და-პირ დავითნს, ჩაკითხებდნენ ხმამაღლივ რომელსამე ფსალმუნს და უბრძანებდნენ მედიდურად მის შემდეგი გაკვეთილისათვის დასწავლას. არც გაუგებარი სიტყვე-

ბისა და ჰაზრების ახსნას და არც ხუცსური, საეკ-
სიო ენის კანსაკუთრებითი ფორმების გამოჩენა;
მაშინ საჭიროდ არ სთვლიდნენ. ასეა როგორც
მიდის ხუცსური ენის სწავლების საქმე, იკით-
ვნობის მოყვარე მკითხველი?—რასაკვირ-
ბევრად უფრო უკეთ უწინდელზე,
ამ ენის სწავლების საქმე დღეს
დღე ვერ არის სასურველად შემო-
და დაყენებული, როგორც ჯერ არს. ა
იბადება კითხვა: როდის და რა ხერხით
ყოს მასწავლებელმა ხუცსური, საეკ-
სწავლების საქმე?—მაშინ, როდესაც
თვისებენ ბავშვები მხედრულ ენაზე წყ
ამის მიზეზი ადვილი ასახსნელია: ა) ხუცსუ-
ასოები, წამეტანვად ასომთავრულები, უფრო ძნელ
შესათვისებელია; გ) ხუცსურ ენაზე ბავშვებისათვ
გაუგებარი სიტყვები და გამოხატულებები უფრ
ბევრია, ვინემ მხედრულზე. მართი სიტყვით მხედრ-
ლი ენა უფრო ადვილია, ვინემ ხუცსური. ამიტ-
სწავლაც უნდა პირველიდგან ვიწყოთ და არა უ-
ნასკნელიდამ თანახმად შემდეგი უტყუარი პედაგ-
გიურის კანონისა: «ჯერ ადვილი, მერე ძნელი; ჯ
მარტივი, მერე რთული; ჯერ მახლობელი, მე
შორსული; ჯერ კონკრეტული, მერე საგულ-
ხმიერო.»

მსოქვათ ახლა ორიოდ სიტყვა იმაზედაც,
რა ხერხები უნდა იხმაროს მასწავლებელმა ჩუ-
რი ერის სწავლების დროს, აი ეს ხერხები:

1) უწინარეს ყოვლისა მასწავლებელმა უნდა
 მიაქციოს ყურადღება იმ ასოებს, რომელნიც
 ტის მეტად ჰგვანან მხედრულ ასოებსა. ამ ნა
 ასოები არიან: **ტ, ჰ, K, ს, ზ, O, P, ჰ,** და
 (თ, მ, ნ, ს, ზ, ო, ფ, ჯ და სხ.) 2) შემდეგ
 იქმნენ შესწავლილნი იმისთანა ასოები, რომე
 არ ემზგაესებიან მხედრულ ასოებსა. ამ გვარ
 ები არიან: **ჟ, ლ, ზ, ზ, ზ, ზ, ზ** და სხვ.
 ე, ლ, პ, ჟ, ტ და სხვ. 3) მესამედ უნდა
 შესწავლილნი ასოები: **ქ, ლ, ლ, ლ** და **ჰ**.
 კ, ჰ, ჰ. 4) მასწავლებელმა, რასაკვირველია,
 გააცნოს ბავშვებს აგრეთვე ბრჯგულები და ქარაგ
 ბიც.

ბოლოს, რომ უფრო მარდად შესწავლოს მას-
წავლემებელმა ბავშვებს ხუცური, საეკკლესიო ენა,
სასარგებლოა, რომ მან ისარგებლოს აგრეთვე შემ-
დეგი ხერხითაც: ხუცური ენის გაკვეთილზე მას-
წავლემებელს შეუძლიან განზრახ მიიტკიოს მოწაფე-
ბის ყურადღება ხუცურ, საეკკლესიო ფორმებზედ.

ესტკეთ, მოწაფემ წაიკითხა: «ჰრქა იესო... წაელეგელი ჰკითხავს: სხვა ნაირად როგორ შეიძლება ესტკეთ სიტყვა «რქა?» პასუხი: «ტოქვა»; ან დევ წაიკითხეს კლასში: «განიგდეს სამისელნი»... ელმებელი ჰკითხავს: სხვანაირად როგორ ითქმის: «განიგდეს»?... პას. განიყვებს და სხე.

ეგში ეცდებით წარუდგინოთ ჰკითხველს უშეზღუდო იმა მასალისა, რომელიც ჩვენის ევლად უნდა მიაძლიოს მასწავლებელმა უცური ენის სწავლების დროს.

ე. მ.

ლ ე ჩ ხ უ მ ი ლ ა მ .

მოელი ლეჩხუმ სევანეთი ერთს ლეჩხუმის მაზრას აღგენს. სევანეთში დღეს ერთი სახალხო სკოლაა მოიძებნება; ლეჩხუმში კი, თითქმის ყველა სასახლისოში იმ თავით 187³/₄ წლებში გაიხსნა სახალხო სკოლები, მაგრამ, საუბედუროდ, ზოგიერთი მათგანი რამდენიმე ხნის შემდეგ კიდევ დაკეტეს. თვით ლეჩხუმში ათ სამამასახლისოდ გაყოფება. მართი ამათგანი—ჰყვიშის სამამასახლისო მდებარეობს სწორედ იმ ადგილს, სადაც რაჭა-ლეჩხუმის მაზრები ერთმანეთს სამხლცრენ. აღმოვლეთით რაჭა-ლეჩხუმის მაზრებს სამხლცრავს მდიე ასკი, რომელიც იქვე რიონს ერთვის; სამხრეთით, მდინარე რიონი. ჰყვიშის სამამასახლისო დგება ხუთი პატარა და დიდი სოფლებისაგან. სამამასახლისოში სულ 300 კომლი მცხოვრები ზება. ადგილის მდებარეობა და მიწის ნიადაგი ანც და მაინც, ურიგო არ არის—ყველა გლეხს ია, თუ მას მიწასაკმაოდ აქვს და რიგიანად იმუა წელიწადმა მოსცა, ორი-სამი წლის სარაიწიოს. თუმც მცხოვრებნი მდიდრები არ მაგრამ რაც უნდა იყოს, ბევრად თუ ცოტად, მცირე ჯამაგირიანი ღარიბი სკოლის შენახვა, გორებიც ლეჩხუმში დაარსებულან იმთავითვე—მაინც კარგათ შეუძლიათ. ამათ როგორც იქმნა ისაშუა-ლეს და 1871 წელში გახსნეს სახალხო სასწავლებელი, როდესაც მოეოს რაჭა-ლეჩხუმში ერთი სახალხო სკოლის ხსენებაც არ იყო; მოიპოვეს მასწავლებელი და 150 მანეთი წელიწადში ჯამაგირი დაუნიშნეს. ამ სკოლას, როგორც საზოგადოთ ლეჩხუმში ყველა ღარიბ სკოლებს, იმ თავით უფა-

სოთ გამოუგზავნა სახალხო განათლების მინისტრმა საჭირო სახელმძღვანელო წიგნები და სურათები, როდესაც სხვა მაზრებშიდ ამისთანა სახელმძღვანელო წიგნები სკოლებს საფასოთ ეძლეოდათ. მას შემდეგ დიდ შემწეობას აძლევდა და ყოველს წელს მუქთად უგზავნიდა წიგნებს და სხვა და-სხვა საჭირო მასალებს ამ სკოლას «წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება». იმ დროი-დამ, უნდა ესტკეთ, რომ სკოლა თავის დანიშნულებას კარგათ ასრულებდა. სამასწავლებლო მართებლობა და მაზრის უფროსები ყველა მუდამ კმაყოფილი იყვნენ ამ სკოლის წარმატებაზედ და თითქმის სა-მაგალითოდ მიაჩნდათ ეს სკოლა პირველ დასაწყისს სოფლის სკოლებშიდ. მასწავლებელი ყოველთვის ბეჯითად შრომობდა და ავისი მოვალეობა რიგია-ნად მიჰყავდა. რიცხვი შაგირდებისა 30—40 დის სკოლაშიდ დაიარებოდნენ და დადებული პროგრამის შესრულებას რაც შეეხებოდა, სახალხო ელემენტარულ სკოლას სამი წლის კურსით, რიგიანათ ნახ-წაელნი გამოდიოდნენ ბავშვები. ბევრი სხვა პატივ-სადები ფაქტები შეგვიძლია ესტკეთ ამ სკოლის სიკარგეზედ, მაგრამ აქ საჭიროდ არ ვრაცხთ, ყველა მოვიყვანოთ. ბოლოს ამ სკოლის ბედით სულ სხვა თაირად შეიცვალა. ორი-სამი გაიძვერა კაცი არა ხალხშიდ არ გამოიღევა. ამისთანა პირებმა შეაგონეს გლეხებს, რომ სკოლა მათთვის საჭირო არ არის; უბრალო ხარჯს აძლევს და შეილები უცდებათ. ბლენებმა შეადგინეს თავისი «პრიგოგორი» და 13 წ. განმავლობაში გახსნილი სკოლა გასულს 1884 წელს, იელისის თვეში დაკეტეს; მშობლებმა ყმაწვილები სკოლაშიდ აღარ გამოუშვეს. ეს საქმე მაზრის უფროსს აცნობებს ნების დასართევიად, მაგრამ მაზრის უფროსმა სკოლის დაკეტაზედ მათ უარი უთხრა. მერეთ თავიანთი შედგენილი «პრიგოგორი» დამასთან თხოვნა სკოლის დაკეტვაზედ საზოგადოებამ მიართვა მუთათისის გუბერნიის სამხედრო გუბერნატორს, ბ. სმეკალოვს. ბატონმა გუბერნატორმა ამის თაობაზე შემდეგი ოფიციალური მოწერილობა გამოგზავნა: «არასოდეს არ შეიძლება და არ იფიქრონ გლეხებმა, რომ ჰყვიშის სახალხო სკოლა უმიზეზოთ დაიკეტოს და ამიტომ გლეხები შეუდგენ ესლავე სკოლის გახსნას და შეილების სწავლას; გახსნილი სახალხო სკოლები მუთათისის გუბერნიაში არასოდეს არ დაიკეტებიან უბრალოდ, თუ ისინი თავის დანიშნულებას ცოტათი მაინც ასრულებენ.» ამავდ დროს სკოლას მოეშველა მუთათისიდან მუთათისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორი უ. ძორაქაშვილი და

შეგროვებინა მამასახლისის გლეხები და აუხსნა მათ, თუ რამდენათ საჭიროა სწავლა და რა სარგებლობას მოუტანს მათ შეილებს სკოლა. მასთან აღუთქვა მათ, რომ თუ ისინი სწავლას განაგრძობენ, რაც საჭირო იქმნება სკოლის სახლის შესაკეთებლად, კლასის ნივთების შესაფასებლად და სხვა საჭირო მასალების მოსაპოვებლად ყოველთვის მუთათისის სახალხო სამასწავლებლო დირექცია დაეხმარება სკოლას და გამოუგზავნის მას, რამდენსაც საჭიროება მოითხოვს. ამ სახით ამ ღვთის მოყვარე პირებმა წაღმა მოაბრუნეს სკოლის საქმე და ამ წლის გასულს, ოკტომბრის თვეშიდ, ისევ გაიხსნა ერთი წლის დაკეტილი სკოლა, რომელშიდაც შეგროვდნენ ყმაწვილები და დღეს დაიარებიან 37 ყმაწვილი.

იმედი გვაქვს, რომ სკოლას არ მოაკლდება აღუთქმული შემწეობა დირექციისაგან საჭირო დროს და მასთან «წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება» უწინდურად დაეხმარება ამ სკოლას სასწავლო ნივთებით.

მფვ. ნიკ. ფრუიძე.



სხვადასხვა ამბები და შენიშვნები.

ყელისტივილი დეკემბრის თვეში ქ. მუთათისში და მუთათისს გუბერნიის სხვა-და-სხვა სოფლებში ძალიან გაძლიერდა. ბევრს მეოჯახეს მოუკლა ორ-ორი და სამ-ამი შეილი. მუთათისიდან მოსწავლე შეგირდებმა ს სენი სოფლებში გაიტანეს და ერთი ორათ გაავრცელეს ეს საძაგელი ავთამყოფობა სოფლებში. მქიბმა, ეგონებ მის გამო, რომ დაბადებულე-რიცხვი კრდაცვალებულთა რიცხვს აღემატება, დიდი ყურადღება არ მიაქციეს ამ სენს; მაგრამ ამ უყურადღებლობამ სამი ექიმის შეილები იმსხვერპლა.

დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში იმერეთის სამღვდელმთავრის დეპუტატებს შეკრებილება ჰქონდათ მუთათისში. ამ შეკრებილებაზედ, სხვათა შორის, იმერეთის ეპისკოპოსმა ბაბრიელმა წინადადება მისცა დეპუტატებს რომ ის ოცდა ათი ათასი მანეთი, რომელიც მთ დაიბრუნეს უკან, გადაედეთ ემიგრატალური კასის დასაარსებლად. ამასთან ყოველად სამღვდელმთავრის კიდევ მისცა წინადადება სამღვდელოებას, რომ მათ მუთათისის სას. სასწავლებლის

ზედამხედველის და მისი თანაშემწისათვის ჯამაგირი მოემატებიათ, მაგრამ ყოველად სამღვდელმთავრის ამ ორივე წინადადებაზე შეკრებილებამ უარი განაცხადა. დაწერილებათი ანგარიში ამ შეკრებილებაზედ შემდეგ ნომერში დაიბეჭდება.

სახალწლოდ.

«ეგრძალებოდათ უკვე. ვითარში განგრძალებულად სვალთ; ნუ ვითარ უგუნურნი, არამედ ვითარცა ბრძენნი: გამოსცდიდეთ ყმათა, რამეთუ დღენი ბოროტნი არიან.» (ეფეს. 5. 15).

ახალ-წელიწად დღეს ყველა უფრო მილოცვას მოეღოს, სინამ გაფრთხილებას და დარიგებას. ჩვენთვისაც დღევანდელ დღეს უფრო სასიამოვნო იქნებოდა მოგველოცნა თქვენთვის, მაგრამ რა ვქნათ? «ყოველთავე ქამი და ქამი ყოლისა ნივთისა ცაათა ქვეშე» (ეგვლ 3, 1). ამისთვის ახალ-წელიწადიც გარემოების გვარად შეიძლება იყოს დროდ მოლოცვისა და დროდ გაფრთხილებისა და ჩვენ ამ ახალ წელიწადს იმისთანა გარემოებაში ვართ, რომ სიფრთხილისადმი მოწვევა უფრო გვეჭირვება. ქრისტიანს განსაკუთრებითი სიფრთხილე ჰმართებს ჩვენს დროში, როდესაც მრავალი განსაცდელი მოსდგომია გარე არამხოლოდ სამოქალაქო საზოგადოებას, არამედ თვით სხადსაც ქრისტიანსა—წმიდა ეგვლესიას. და როგორადაც ჩვენ ვაღდებუდნი ვართ სამოქალაქო ცხოვრების სიკეთისათვის მოვიქცეთ ისე, როგორც შეჭურვის კეთილს და პატიოსან მოქალაქეს, აგრეთვე და უფრო უნდა ყველანი, როგორც შვიდნი მართლ-მადიდებელის ეგვლესიისა, შეძლებისა მებრ ვმსახურებდეთ ეგვლესიას.

მართლ-მადიდებელი ეგვლესია ჩვენ მამულში ორ-გვარი განსაცდელით არის გარემოცული: ერთის მხრივ ერწმუნოებით და მეორის მხრივ ბრმა, შეუგნებელი სარწმუნოებით. ერწმუნოება მოიღუპის ჩვენგან უცხოეთიდან შეჭურვილი ცრუ მეცნიერების საჭურველით და ამ მეცნიერების სახელით უარყოფს ქრისტეს სჯულის ჭეშმარიტებას. ამ ერწმუნოებას თანაუგრძნობენ პირველად ისინი, ვისაც შეძლება

აქვსთ პირის პირ გაიყვნენ ამ გვარი მეცნიერება და შეისწავლონ დამარღვეველი მისი ნაწარმოები; ამათგან ის ვრცელდება ჯერ გამოუცდელ და სარწმუნოებაში დაუმყარებელ ახალ-გაზდობაში და მერმე ხალხშიაც. მეორე მხრივ ბრმა, შეუგნებელი სარწმუნოება, როგორც მოლაგნობა, ბაბტიზმი და სხვ., სარგებლობს ხალხის გულ-უბრუვილობით, სარწმუნოების შეუგნებლობით და თავისკენ იბირებს არა მცირედ რისკვს ქრისტეს ეგკლესიიდან. როდესაც ქრისტეს ეგკლესია ამისთანა საშიშ მდგომარეობაშია, უველს უნდა გვახსოვდეს მოციქულის სიტყვები: «ეგრძალებოდეთ უკვე, ვითარძი განკრძალოდად ხვალთ; ნუ ვითარ უგუენრნი, არამედ ვითარცა ბრძენნი: გამოსცდიდეთ ჟამთა, რამეთუ დღენი ბოროტნი არიან».

მაგრამ როგორ უნდა მოვიქცეთ მომავალ წელს, რომ დირსეულათ აღვასრულოთ ჩვენი ვალი ეგკლესიის შესახებ და შეძლების გვარად ვემსახუროთ იმის კეთილ დღეობას?—ზოგნი ჩვენგანნი უნდა სიტყვით და წერილით იცავდნენ ქრისტეს სჯულის ჭეშმარიტებას და ამბილებდნენ იმათ, ვინც სცდილობს შეარყიოს ის, აფრთხილებდნენ ჯერეთ სარწმუნოებაში დაუმკვიდრებელთ და დაუხელოვნებელთ, უჩვენებდნენ შეცდომებს; ამ გვარად მეცნიერებას მეცნიერებავე აღადგინონ წინ და დაარდვიონ ურწმუნოება ჭეშმარიტის მეცნიერებით. სხვები მათდამი მიწებულის უფლების ძალით უნდა იფარამდნენ ეგკლესიას მტრებისაგან. ზოგთ უნდა მოუზოვონ ეგკლესიას ნივთიერი შეძლება, რომ უფრო გაძრიოდეს ის და გაავრცელოს თავის მოქმედება, რომელიც მიმართულია ხალხში ჭეშმარიტების გავრცელებაზედ. უველანი შეძლებისა გვარად უნდა ვცდილობდეთ ეგკლესიის სიკეთისათვის. უველა ჩვენგანს უნდა ახსოვდეს, რომ ის არის, შვილი მართლმადიდებელის ეგკლესიისა და ისე ეპურობოდეს იმას, როგორც შეჭურვის კეთილს შვილს: უნდა ძვირად უფირდეს ეგკლესიის დიდება და სცდილობდეს დაიცვას ის, გაბედვით ებრძოდეს იმის მტრებს. დიად, მაშინ ეგბლესია, ერთგულად დაცული და დაფარული თავის შვილებისაგან, ძლიერა-შემოსილად უკუ აქცევს მტრებს, მაშინ ურწმუნოება და ბრმა სარწმუნოება ვეღარ მიიტაცებენ თავისკენ იმის შვილებს.

(ყოფ. უსამღვ. საქართველოს ექსარქოსის ქადაგებიდან.)

მწამს ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეგკლესია.

ეგკლესია ღვთისა-ცხოველისა—სვეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისა» (ტიმ 3 15) და მასხადამე საჭირო არ არის სხვაგან ვეძებდეთ ჭეშმარიტებას. ასეა ის: იუჯ წვერი მართლმადიდებელი ქრისტიანებისა სოფადობისა, იმყოფებოდე ეგკლესიაში. ასრულე იმისი წესები და იქნები მფლობელი ჭეშმარიტებისა, იქნები თვით ჭეშმარიტებაში. მართლმადიდებელი ეგკლესიის გარეშე არ არის ჭეშმარიტება: მარტო ის არის ნამდვილად დამტკველი ყველაფრისა. რაც გვაცნო ღმერთმა მოციქულების პირით და ამისათვის მარტო ის არის ნამდვილად სამოციქულო ეგკლესია.

ზოგიერთებმა დაჭკარეს სამოციქულო ეგკლესია და რადგან მანინ დაწმუხებულები არიან, რომ მარტო ის მოციქულო ეგკლესია იბურბოს ჭეშმარიტებას, ამისთვის თვითონ დაასეს ეგკლესიას და უწოდეს იმას სამოციქულო. სახელი დააჭკეს, მაგრამ შესაბამი მხანათი გერმოზოგეს. რადგან სამოციქულო ეგკლესია არის დაფუძნებული ნებისაგან მამისა მაცხოვრისაგან ჯდლითა სულისა წმიდისა მოციქულთა მიერ და ეცნო იმას ვერად შენებენ, თუ დარღვეულა ჭეშმარიტი სამოციქულო ეგკლესია. ამოდ დაშვრების ეცნო იმის აღშენებაზედ, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ის არ მისცა ნება ბჭეთა ჟოჯოხეთისათა დეერღვიათ წმიდა სამოციქულო ეგკლესია: ის სდგას და იქნებ საუგუნოდ აღთქმისაგან უფლისა და ეს არის ჩვენი მართლმადიდებელი ეგკლესია.

იესო ქრისტემ ააშენა წმიდა ეგკლესია და იმყოფება იმაში, როგორც თავი, მაცოცხლებელი და მმართველი იმისი; აქ, ჩვენ მართლმადიდებელ ეგკლესიაში, არის ქრისტე და არა სხვაგან. ნუ ეძებ იმას სხვაგან—ვერ იპოვი. ამისათვის, თუ ვინმე ჩვენ ეგკლესიის გარეშე შეგვანებდეს: ჩვენთან არის ქრისტე—ნუ ეწმუხები; გეტყვოდეს ის: ჩვენი ეგკლესია არის სამოციქულო ეგკლესია—ნუ ეწმუხები: მოციქულებისაგან დაფუძნებულა არის მართლმადიდებელი ეგკლესია და ეს არის სამოციქულო, სოფო ის, გუშინ შედგენილი სხოგადობა, არ არის, ვერ შეიძლება იყოს სამოციქულო. თუ გეტყვოდეს, ვინმე ჩემით იტყვის თვით ქრისტე თვითონ გი განშორებოდეს ეგკლესიას, იმისი მოძღვრება არა სწამდეს, იმის საიდუმლოებით არ განათლებოდეს—ნუ ეწმუხები: იმას ამოქმედებს არა ქრისტე, რომელს იმამე სული, რომელიც ითვისებს ქრისტეს ანაგ უფრო აღვილად წარგიტაცოს ეგკლესიისაგან ქრისტეს ამისთანა მქადაგებელი არის ბოროტი სული ისრაელი

მჭადგებელი სიცრუის; განუშორე იმას, თვითონ ქრისტე სტეჟა: უკეთუ ეკლესიისა არა ისმინოს, იუვენ შენდა იგი, ვითარცა მეზვერე და წარმართია ესე: გრწამდეს ერთი წმიდა კათალიკე და სამოციქულო ეკლესია; გრწამდეს და განსოვდეს: ვისიერ დედა არ არის ეკლესიას, იმისი მამა არ არის ღმერთი.

წ. ნინო ქართველთ განმანათლებელი.

ღმერთი თავის ნების გასაგრძელებლად ქვეყანაზედ გამოიჩინეს ღირსეულ გვამთ და გაუწესებს იმათ იქადაგონ იმისი სწავლა რომელიმე მხარეს, ამცნონ ხალხს ჭეშმარიტი სჯული და გამოიყვანონ ის გონებითი სიბნელიდამ. ეს ამოცანა უფრო ჰინი, ზენარის ძალით გამხსნელებული, გულ-მოდგინეთ შეუდგებიან ღვთის ბრძანების აღსრულებას და სცდილობენ მოჭედიან ნათელი ქრისტესი ხალხთ, რომელნიც გარემოცულნი არიან უცოდინარობის და უსჯულაობის ბნელით. ისინი მხედ მზღვერ თავიანთ დანიშნულების აღსრულებას. უოგელთვის მზად არიან შესწირონ თავიანთი თავი, თავიანთი ცხოვრება ამ მიზანს და ბევრჯერ კიდევ შეეწირებიან, ემსხვერპლებიან იმას. ამასთანავე მოქმედთ სახელები ღმრთად იხიერებიან ხალხის გულში. ხალხი ამ კეთილის მოუფელეს დიდ პატივს სცემს, მოწიწებით ისვენებენ იმათ სახელს, მაინა ისინი თავის მიფარველად. ამ გვარ ღვთისაგან არსებულ პირებს ეკუთვნიან სეტარი ნინა ქართველთ განმანათლებელიც.

წ. ნინოს მამას ზახულანი ერქვა და დედს სუსანა, მამით იყო მახლობელი ნათესავი წ. გიორგისა, დედით იერუსალიმის პატრიარქისა. იერუსალიმში ცხოვრების დროს ნინოს ბევრჯერ სძენოდა საქართველოზედ და ქართველებზედ ღაზმარავი იმ ებრაელებისაგან, რომელნიც მაშინ საქართველოში სცხოვრობდნენ და მისულა მოსვლას ჭქმნდნენ იერუსალიმში. წარმართ ივერთაზედ და კერძო იყვანის-მცემელ ქართველებზედ ცნობებმა ადრევე ჩაუხერხეს იმას სურვილი ენახა ეს ქვეყანა, ესწავლებინა იქაურებისათვის ჭეშმარიტი სჯული, გაენათლებინა ისინი.

ეს სურვილი ქალწულის გულში უფრო გაძძოვლა საკვირველმა ხილვამ: ერთხელ იმან ძილში უოვლად წმ. ღვთის მშობელი ნახა; ქალწულმა მისცა იმას ვახის ტოტებისაგან შეთხზილი ჭვარი და უბრძანა წასულიყო წარმართების მოსაქცევად. ნინო დაემოწმებოდა მიწოდებას და გადაწყვიტა ივერიაში გამოეგზავნება. ვიხანტიდამ, შედეგში წმ. ნინო იქ იმყოფებოდა,—წ. ნინო და რამდენიმე ქალწული, მეფე დიოკლიტიანესაგან დევნილნი, მოვიდნენ სომხეთში. სომხეთის მეფემ, უსჯულო ტირიდატმა აწამა უველა ეს ქალები, წ. ნინო კი სასწაუ-

ლით გადაარჩა სიკვდილისაგან და დიდი გაცირების შემდეგ მოვიდა მცხეთას, სადაც ის მეფის მეზვრის ცოდნით ანასტასიასთან დაბინავდა.

მცხეთაში ქართველებს თავიანთი ღმერთის აძმარის დღესასწაული ჭქმნდნენ. დიდი ძალი ხალხი იყო შეერილი. მეფე მირიანიც თავის სახლობით იქ იყო. მღოვრელნი მსხვერპლს სწირავდნენ, თავიანთ-სტეჟდნენ კერძს. წ. ნინო ჭკდავდა იმას და მას გულს უწელავდა ეს ამბავი, ის სწუხდა ხალხის გაუნათლებლობაზედ. მსურველად ეკედრებოდა იესოს მოციუნა თავის ნათელი და გაეფანტა გონებითი სიბნელე ამ ხალხისა, გამოეჩინა თავისი ძალა და სასწაულოთ ემხილებინა ხალხი. ცა უეცრად მოიცოცა ღრუბელმა; ელვამ განათა არა; გაისმა საშინელი ჭექა და მესმა შემუსრა კერძი; ამოვარდა ქარი და განფანტა კერძის ნაღველები. ხალხი შეძრწუნდა და მიიძალა. მოლოდ წ. ნინო იდგა ხშირად ღვთისადმი მადლის შემწირველი.

წმიდა ცხოვრებით ნეტარმა ნინამ მოიზოვა სასწაულო-მოქმედების ნიჭი: მეზვრის ცოლი ანასტასია უშვილო იყო და წმიდანის გედრებით შვილი გაუჩნდა. ერთ საწულად დედა გაცს შვილი უვავდებოდა—ნინომ გადასხა ჭვარი და განკურნა. დედოფალი გახდა ავად; ვერავინ მოაზრინა მიჭმართეს ნინოს და იმისი ღოცვით განიკურნა; დედოფალმა მაშინვე ირწმუნა ღმერთი ჭეშმარიტი. მეფესთან სმარსეთის შაჟის ნათესავი იყო სტუმრად და ძირეულ ავად გახდა; მიიყვანეს ნინასთან მოსარჩენად და წმიდანმა განკურნა ის.

წ. ნინოს სახელი გაითქო, იმან დაიმსახურა ხალხის პატივის-ცემა და ბევრი მოწაფეებიც მოიზოვა. მაგრამ მეფე არ უყურებდა იმას კეთილის თვლით; იმან კიდევ განიზრახა დაეწყო დევნა ნინასთვის და მისი მოწაფეებისათვის, მაგრამ ღმერთმა გამოეჩინა თავისი ძალა მეფესაც.

მირიანი ხანადირთ იყო. შეემთხვა დიდი ავადრი; ელვამ დააბრძავა ის. მეფემ იგრძნო, რომ ეს ღვთის წყრომა მოეკლინა იმას თავის ზოროტი განზრახვისათვის ქრისტიანების წინააღმდეგ; აღუთქვა ქრისტიანობის მიღება, თუ გადარჩებოდა ამ განსაცდელს და განიკურნებოდა—ცა მოიწმინდა მეფეს სინათლე მოეცა. მირიანმა უამბო ეს ამბავი უველას და ნათელი ილა. მრავალი ქართველობა მოინათლა ამ დღეს.

მეფემ სთხოვა წმინდანს იმის სასახლეში დაბინავებულიყო, მაგრამ ის თავის ქონს არ მოსცილდა. არ ელტოდა სიძლიერეს. გადდა ამის იმისთვის ეს ქონი სხვა ნაირადაც იყო ძვირფასი. აი რად:

როდესაც ბაბილონელებმა ებრაელების სამშობლო ააოხრეს, მამინ რამდენიმე ოჯახი ურიებისა დასასლდა

მცხეთაში. ისინი ყოველ წელიც ჭკნავნდნენ ამორჩეულ კაცებს ზასეჭის სადღესასწაულოდ. ერთხელ იმათ ამოირჩიეს ვინმე ელიოზიც და გავაგნეს იერუსალიმში. ეს ის ზასეჭი იყო, როდესაც ქრისტე ჯვარს ატევს. ელიოზი იყო გოლგოთასზედ, ნახა ჯვარცმული მაცხოვარი და თედა ქრისტეს კვართი მხედრისაგან, რომელსაც კვართი წილში ერგო. ელიოზი დაბრუნდა შინ; იმის და სიღონის გამოკვება და რომ გაიგო მძისაგან ქრისტეს ამბავი და ნახა იმის ხელში კვართი, გამოართო ის, მიიკრა გულზედ და იქვე სულისცემა. ბევრი ეცადნენ გამოერთვით კვართი, მაგრამ ამაოდ; ისე კვართით უბეში დამარხეს. სიღონის საფლავზე ნაძვი ამოვიდა. ელიოზის ჩამომკვლემა ვინმე აბიათარმა უაშოო წმიდანს ეს ამბავი და აჩვენა ადგილი, სადაც კვართი იყო დამარხული. წმ. ნინო ამის შემდეგ ყოველ დამე მიდიოდა ამ ნაძვთან თავჯანის საცემლად დათვლული კვართისა.

ნაძვის ქვეშ წმიდანმა ისილა საიდუმლო ხილვა, და შიხვდა, რომ ამ ადგილს დიდი დიდება მოელოდა. იმან ნახა: რაღაც შავის მფრინველების გუნდი აფრინდა მეფის ზვარიდან; ფრინველები ჩავიდნენ მდინარეზედ გაიბანნენ, განსატყვდნენ როგორც თოვლი, მერე შემოსდნენ ამ ნაძვზე და მართეს მშვენიერი გალობა. ეს ნიშნავდა, რომ საღისი ნათელს იღებდა და იმ ადგილიდან, სადაც ნაძვი იდგა, გამოსდებოდა ქრისტეს სადიდებელი გალობა.

წ. ნინომ სთხოვა მეფეს იმ ადგილს, სადაც ნაძვი იდგა, ტაძარი ეგმენებინა. მარანმა შესწირა თავის ზვარი ტაძრისათვის. მოსტერეს ნაძვი. მოჭრილი ნაძვის ძირიდან დაიწყო დენა სუნელმა მირანმა და ვინც ავად მყოფი იცხებდა იმას, იკურნებოდა.

წმ. ნინო დაუცხრომელად ქადაგებდა და იმისი მოწაფეების რიცხვი დღითი დღე მრავლდებოდა. შემდეგში წ. ნინო წავიდა საქადაგებლად კახეთში და იქ აღესრულა 335 წელს. იმ ადგილს, სადა წ. ნინო დამარხეს, მეფე მირანმა ააშენა ტაძარი, რომელიც შემდეგში ბოდბის სამიტრანოლიტო ტაძრად დაწესდა. მართლმადიდებელი კვლეხია წ. ნინოს ხსენებას დღესასწაულობს 14-ს იანვარს.

ნ ა რ ე ჯ ი .

ბასაოცარი წერილები.

ქრისტეს მიერ ძმაო და . . .

ღმერთმან შეაწუხოს ისე შენი მტერი, როგორც მე ვიყო შეწუხებული ჩემხელქვეშეთაგან... რაც უნდა მოვიმდომო, არა-

ფერს არ მიფერიან და ისეთი საბუთები მოჭკავსთ ზოგიერთ ჩემ წინადადებათ წინააღმდეგ, რომ ხმა ვერ ამომიღია და ვარ ერთ ცეცხლში ჩავარდნილი. მანლობლად ისეთი ხელქვეითები შეავს მაინც, რომ ყველანი ჩემზე უფრო ნასწავლნი და განათლებულნი პირნი არიან. თქვენ გამოცდილი ხართ და ღვთის გულისათვის მირჩიეთ რამე და გამოიმხსენით ამ განსაცდელისაგან...

მიიღე დარწმუნება და სხვ.

ქრისტეს მიერ ძმაო და . . .

მე გამოცდილი ვარ თქვენისთანა გაჭირვებაში და სრულებით ვგრძნობ და შევდივარ თქვენს მწუხარებაში და ამისათვის ვისწრაფი მოგცეთ ის დარიგება, რომლითაც მეც განთავისუფლდი იმ გვარი გაჭირვებისაგან, როგორშიაც თქვენ ხართ ჩავარდნილი დღეს. ღმერთმა იმდენი დღეგრძელობა მოგცეს, რამდენი მე ვიწვალე მაგისთანა ხელ-ქვეშეთაგან. სწორეთ მეც მაგისთანა მდგომარეობაში ვიყავი, მაგრამ ერთი ღონე ვინმარე, რომელსაც თქვენც გირჩევთ, თუ განსვენება გინდათ და გსურსთ, არ შეგაწუხონ ამაო კაცობრიული სიბრძნით... რაც ნასწავლები იყვნენ ჩემ მანლობლად, სულ გავეყარ-გამოვეყარე აქეთ-იქით, მათ მაგიერ მოვიწოდე და შევკრიბე ჩემს მანლობლად უსწავლელები და უგნურები. რასაც ვიტყვი, ყველანი უერმოჭრადი ყმანი არიან და არც ერთს არ შეუძლია წინააღმდეგობა გამიწიოს ჩემი სურვილის წინააღმდეგ, რაც უნდა უკანონო იყოს ჩემი მოთხოვნილება. ის ნასწავლები დავიშორე ორას ვერსზე და ამ რიგათგანვისვენე მათ ღიბერალურ მოსაზრებათაგან. ამბობენ, რომ ნასწავლი ხალხი კარგიაო, მაგრამ გამოცდილებით ვტყუბოლობ, რომ უფრო სასარგებლოა უსწავლელ ხალხთან საქმის დაკავება, ვინემ ნასწავლთან. და იმათ უფრო მაღე იმორჩილებ კაცი, ვინემ ნასწავლო. გირჩევთ, რომ თქვენც ასე მოაქციეთ.

თქვენი

ზინაარსი: ძველი წელიწადი.—რით აიხსნება.—

ხუტური, საეკლესიო ენის სწავლებასზე.—ლეხუმიდამ. სხვა-და-სხვა ამბები და შენიშვნები.—სასადაწლოდ.— წმ. ნინა, ქართველთ განმანათლებელი.—ნარკვი.

Доз. цензурою Кутаисъ, 31 Декабря 1885 г.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ.

რედაქტორი-გამომცემელი მდ. დ. დამბაშიძე.

მხრათფლმეჭდაგი ზედგინიძის ღ ფერადის.